

შუახევში ჰესის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს

ჯაბა
ანანიძე

შუახევში, სოფელ მახალაკიძეებში, საპროტესტო აქცია გაიმართა. შეკრებილები ამბობდნენ, რომ მათ ჰესის მშენებლობამ კონკრეტული ზიანი მიაყენა: გააქტიურდა მენყერი, დაზიანდა სახლები. მოსახლეობა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ასევე გვირაბების გაყვანის შეჩერებას იმ დრომდე ითხოვს, ვიდრე გეოლოგიური დასკვნა არ იქნება.

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ტარიელ ებრალიძე „ბათუმელებთან“ ამბობს, რომ დასკვნები დაიდება და ამას კომისია გააკეთებს, რომელიც რამდენიმე დღეში შეიქმნება: „ამ კომისიაში იქნებიან გეოლოგები, ასევე მოსახლეობა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომისია გაარკვევს, ვის რა ოდენობით მიადგა ზიანი“ .

რატომ არ დაიდო გეოლოგიური დასკვნა აქამდე, რასაც წლების განმავლობაში მოითხოვენ ამ სფეროს ექსპერტები, მაგალითად, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“? – ამ შეკითხვაზე შუახევის გამგებელმა გვითხრა, რომ დასკვნები ჰესის მშენებლობის დაწყებამდეც იყო: „ამჯერად გასარკვევია, ეს ზიანი ადამიანებს ჰესის მშენებლობისგან მიადგათ, თუ სხვა მიზეზით. ისე, მნიშვნელობა არც აქვს, რამ განაპირობა ზიანი, სახელმწიფო ვალდებულია ყველას დაეხმაროს და ზიანი აუნაზღაუროს“

„თუკი დადასტურდება, რომ ჰესია დამნაშავე, არ მგონია, ისინი ამ პასუხისმგებლობას გაექცნენ,“ – ასე უპასუხა ტარიელ ებრალიძემ ჩვენს შეკითხვას – რატომ უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ ზიანი, თუ ის კერძო კომპანიის მუშაობამ განაპირობა.

„კომისია ვერ დაადგენს, საიდან მიადგათ ადამიანებს ზიანი,“ – ამბობს აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს გეოლოგიის სამსახურის უფროსი, ტარიელ ტუსკია. მისი თქმით, კომისია დაათვალიერებს სახლებს, საკარმიდამო ნაკვეთებს და დადებს ფაქტებს, შეაფასებს ზიანის ხარისხს: „არ ვიცი, თუ გამგეობა აპირებს სპეციალური დანადგარების ატანას შუახევში და სპეციალური კვლევების ჩატარებას, ეს სხვა საქმეა. სხვაგვარად ვერ დადგინდება, საიდან დადგა ზიანი.“

ტარიელ ტუსკიას, როგორც აჭარის მთავარ გეოლოგს, ამ სოფელში გეოლოგიური კვლევა ჰესის მშენებლობის დაწყებამდე არ ჩაუტარებია. მისთვის უცნობია, მომზადდა თუ არა აქ დასკვნები წინასწარ, ვიდრე გვირაბის გაყვანა დაიწყებოდა.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად მოითხოვდა გეოლოგიური კვლევების დადებას არა მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც ჰესი შენდება, არამედ მთლიან ტერიტორიაზე, რაზეც გავლენა შესაძლოა იქონიოს მასშტაბურმა მშენებლობამ.